პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 2 აპრილი 1926 წ.

წლიწადი მეექვსე

ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

70 (1065)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ულხმენი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## პოლიტშემადგენლობის გასამხედროება კარგად უნდა ჩავატაროთ.

საკავშირო რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს მიერ გამოცემული იყო ბრძანება, ჩვენი წითელი არმიის პოლიტშემადგენლობის გასამხედროების შესახებ. ეს ბრძანება უნდა გატარებულიყო პირველი მარტიდან და ამ ხნის განმავლობაში უნდა გაწეულიყო სათანადო მუშაობა პოლიტშემადგენლობის გასამხედროებისათვის, საერთო მოსახლეობის გასამხედროების კომპანიის ჩატარებასთან დაკავშირებით.

როგორც მოსახლეობის გასამხედროების კომპანია, ისე პოლიტშემადგენლობის გასამხედროების კომპანია ერთი თვეა რაც მიმდინარეობს.

მაგრამ თუ როგორ მიმდინარეობს ეს კომპანია ადგილებზე და რა უარყოფით მხარეებს აქვს ადგილი ამ კომპანიის ჩატარების დროს, ამის შესახებ ჩვენ ვერ ვღებულობთ სათანადო ცნობებს.

ამიტომ საჭიროა, რომ ჩვენმა სამხკორებმა ამ საკითხის შესახებ გამოგვიგზავნონ ცნობები, რომელიც სათანადოთ გააშუქებს იმას, თუ როგორ ტარდება ცხოვრებაში პოლიტშემადგენლობის გასამხედროების კომპანია.

დღეს ამ საკითხის დადებითად გადაჭრას დიდი მნიშვნელობა აქვს და მთელი ჩვენი ძალა და ენერგია უნდა დავხარჯოთ ამ საკითხის სათანადოთ მოწესრიგებისათვის.

მართლაც პოლიტშემადგენლობის გასამხედროებას, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ეს ჩანს შემდეგიდან:

რამდენათაც ჩვენ ვცდილობთ საჭირო ზომების მიღებით, ჩვენი წითელი არმიის სამხედრო მომზადების უზრუნველყოფას, იმდენათაც საჭიროა, რომ ჩვენ კარგ ნიადაგზე დავაყენოთ პოლიტშემადგენლობის გასამხედროება და ამით, როგორც ეს ბრძანებაშია ნათქვამი: „უნდა უზრუნველვყოთ შეთანხმება, კავშირი და ურთიერთ გავლენა სამხედრო და პოლიტიკური ელემენტების“.

მაშასადამე ცხადია, რომ პოლიტშემადგენლობის გასამხედროებას დიდი ღირებულება აქვს ჩვენი წითელი არმიის პირადი შემადგენლობის აღზრდისათვის.

ამიტომ კი საჭიროა კარგად ჩავატაროთ ეს საქმე და ამასთანავე საჭიროა, რომ ჩვენმა სამხკორებმაც მოგვაწოდონ ცნობები იმის შესახებ თუ როგორ და რა პირობებში ტარდება პოლიტშემადგენლობის გასამხედროება.

გაზეთის ფურცლებზე ამ საკითხის სათანადო გაშუქება საშუალებას მოგვცემს მიუთითოთ იმ ზომებზე, რომელიც მიღებული უნდა იქნეს იმ უარყოფითი მოვლენების აღმოსაფხვრელად, რომელსაც შეიძლება ადგილი დაურჩეს პოლიტშემადგენლობის გასამხედროების ჩატარების დროს.

## არაპარლამენტარულ გზით.

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ამას წინეთ ვსწერდით, რომ საფრანგეთში მემარცხენე ბლოკის (სოციალისტების და წვრილ ბურჟუაზიის თანამშრომლობა) იდეის შეუსაბამობა და სიკოტრე სავსებით დამტკიცდა, რის შედეგად ჩვენ მივიღეთ ერთი ფრონტი: ერთის მხრივ მსხვილი ბურჟუაზია—ფაშიზმის სახით და მეორეს მხრივ რევოლიუციონური პროლეტარიატი—თავის ხელმძღვანელ კომპარტიის სახით. საფრანგეთიდან გუშინ მოსულ ცნობებს არა მარტო ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს, ის ცილდება მას და იღებს საერთაშორისო ხასიათს თავის მაშტაბით.

საფრანგეთში ფაშიზმი დღითი დღე ძლიერდება. მთავრობა ნელის ნაბიჯით მის ხელში გადადის.

ფაშისტური დემონსტრაციები პარიზის ქუჩებზე საქვეყნოთ ყოველდღე იმართება. მიუხედავად ფაშისტურ და ყოველგვარ რეაქციონურ ძალთა მობილიზაციისა ამ დღეებში პარიზის მეორე სექტორში პარლამენტში დამატებით არჩევნების დროს გაიმარჯვეს კომუნისტებმა, რომლებმაც ორი კომუნისტი გაიყვანეს პარლამენტში.

აქ საინტერესოა ის, რომ კომუნისტებს წვრილ ბურჟუაზიულ ფენებმა მისცეს ხმა, რომლებმაც ყოველგვარი იმედი დაკარგეს სოციალისტების. მემარჯვენეთა პრესა, ამას აღნიშნავს რა აღშფოთებით, მოუწოდებს თავის მომხრეებს ეხლავე გაილაშქრონ „საფრანგეთის კერენსკის—ერიოს“ წინააღმდეგ, რომლის მოღვაწეობა მათი აზრით, ხელს უწყობს კომპარტიის გაძლიერებას. საფრანგეთის ფაშიზმი გადამწყვეტ ბრძოლისთვის ემზადება.

ისინი უკვე შეუდგენ ამერიკის საზოგადოებრივი აზრის სამზადის საფრანგეთში ახლო მოსალოდნელ ფაშისტურ გადატრიალების შესახვედრად. ამერიკის საქმიან წრეებში ისინი ავრცელებენ ბიულეტენებს, რომელშიაც ისინი მოუთხრობენ, რომ „საფრანგეთის პოლიტიკურად და ფინანსიურად განმტკიცებისთვის საჭირო არის არაპარლამენტარული საშუალებები“-ო.

თუ რას უწოდებენ ისინი „არაპარლამენტარულ გზებს“ ეს ჩვენ კარგად ვიცით. საფრანგეთის კომპარტია დღეს ძლიერი და ბრძოლაში გამობრძმედილია, მას სავსებით ესმის მომენტის სირთულე და პასუხისმგებლობა.

პარიზის არჩევნები მხოლოდ ეპიზოდია გაყვლეფილთა ბრძოლაში გამყვლეფელთა წინააღმდეგ. პარიზის არჩევნებზე გამარჯვებას მოყვება მთლიანი პროლეტარული ფრონტის შექმნა. მოწოლილ ფაშიზმს საფრანგეთის მუშათა კლასი მომზადებული შეხვდება.

ნ. ნ.

# ახალი რადიო ამბები

## პალესტინის არაბთა საპროტესტო გაფიცვა.

სირიის კომისარ დე-ჟუვენელის პალესტინაში მოგზაურობამ გამოიწვია პალესტინის არაბთა საყოველთაო გაფიცვა პროტესტის ნიშნად საფრანგეთის პოლიტიკის წინააღმდეგ სირიაში.

ასეთ ფართე ხასიათის გაფიცვებს ჯერ არ ჰქონია ადგილი პალესტინაში.

## სოციალისტები თავს იჭერენ.

საფრანგეთის სოციალისტებმა დაადგინეს თავი შეიკავონ ხმის მიცემისაგან, როცა დაისმება საკითხი მთავრობის ნდობის შესახებ.

ასევე გადასწყვიტეს სავაჭრო ტრიალზე გადასახადის მომატების შემთხვევაში.

## „ერთა ლიგის მეგობართა“ იდუმალი სხდომა

ერთა ლიგის მეგობართა საპარლამენტო კომიტეტის საიდუმლო სხდომაზე ჩემბერლენმა ილაპარაკა ერთა ლიგის საბჭოს უკანასკნელ სესიის შესახებ.

როგორც გადმოგვცემენ, ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ბრაზილია მოქმედებდა დამოუკიდებლად და მასზე არავითარი ძალდატანება არ მოუხდენია ევროპის რომელიმე სახელმწიფოს.

## საფრანგეთი იარაღს აჟღარუნებს.

ფრანგულ გაზ. „პტი პარიზენის“ ცნობით, ბრიანის, პენლევესა და სტეგის თათბირზე გადაწყვეტილ იქნა დაიწყოს მოლაპარაკება რიფების ბელად აბდელ-ქერიმთან თუ რომ უკანასკნელი თანახმა იქნება მოლაპარაკების დაწყების ოფიციალურ ფორმაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაადგინეს დაიწყონ სამხედრო მოქმედება.

## უმუშევართა დემონსტრაცია ინგლისში.

ლონდონში გაიმართა რემედასის ინგლისის სექციის წევრ უმუშევართა დემონსტრაცია, რომელიც მოითხოვდა პოლიტიკურ პატიმართა გათავისუფლებას. დემონსტრაცია განდევნილ იქნა პოლიციის მიერ. ამის მიზეზი იყო შეტაკება დემონსტრანტებსა და ფაშისტებს შორის.

## განხეთქილება შრომასა და კაპიტალს შორის.

ინგლისის მანქანათმშენებელ მრეწველობის 16 პროფკავშირმა წარუდგინა ქარხნის პატრონებს მოთხოვნილება ხელფასის გადიდების შესახებ. მეპატრონეებმა უარი განაცხადეს მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე.

საკითხი გადაეცა მეპატრონეთა და მუშათა წარმომადგენლების განსაკუთრებულ კონფერენციას, რომელიც მოხდება 9 აპრილს.

## ფაშისტურ პარტიის მდივანი

იტალიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით ფაშისტური პარტიის საბჭომ დანიშნა პარტიის მთავარ მდივნად დეპუტატი ავგუსტო ტურატი.

## გედინი საბჭოთა კავშირის შესახებ

შვეციის კონსერვატორების გაზეთი განაგრძობს ცნობილ მოგზაურის გედინის წერილების ბეჭვდას საბჭოთა კავშირის შესახებ.

გედინის უკანასკნელ წერილში ნათქვამია: „ბოლშევიკები, რომლების მოქმედებას ჩვენ ვგმობდით ოქტომბრის რევოლიუციის დროს, სრულებით არ არიან „კულტურის გამანადგურებელი“, როგორც ბევრს წარმოუდგენია. მათი მუშაობა ბრწყინვალე მომავლისაკენ მიდის. ჩვენთვის სასარგებლო იქნებოდა სამეცნიერო თანამშრომლობა მათთან კინკლაობის ნაცვლად.

## ურკვარტი მოლაპარაკებას აწარმოებს

ინგლისის ცნობილი მრეწველი ურკვარტი აწარმოებს მოლაპარაკებას ამერიკის ფინანსების მონაწილეობაზე საბჭოთა კავშირში კონცესიების საქმეში. ურკვარტის განცხადებით კონცესიებს დახმარება უნდა გაუწიოს ამერიკის მრეწველებმა ფინანსებითა და ტეხნიკით.

## ლენინგრადის ორგანიზაციის აქტივის კრება

საკავშირო კომპარტიის ლენინგრადის ორგანიზაციის აქტივის კრებამ კომინტერნის პლენუმის მუშაობის შეხახებ გამოიტანა რეზოლიუცია რომელშიაც ესალმება ერთსულოვნებასა და შემჭიდროებას, რომლის ნიშან ქვეშ ჩატარებულ იქნა პლენუმზე ბრძოლა მარცხენა და მარჯვენა გადახრების წინააღმდეგ საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში“.

## სრ. რუსეთის პოლიტგანათლ. განყოფილებათა ყრილობა

მაისის შუა რიცხვებში მოსკოვში გაიხსნება სრულიად რუსეთის პოლიტგანათლების განყოფილებათა ყრილობა, რომელზედაც მთავარი ყურადღება მიექცევა სოფლად კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობის საკითხებს.

## ამხ. ბუდიონი უზბეკისტანში

უზბეკისტანში ჩამოვიდა რევსამხსაბჭოს წევრი და კავალერიის ინსპექტორი ბუდიონი უზბეკისტანის ეროვნულ ცხენოსან ნაწილების მდგომარეობის გასაცნობად.

# საქართველოში.

## ყოფილ მენშევიკების კრება

ქალაქ ფოთში გაიმართა ყოფილ მენშევიკების კრება. ქართველ ემიგრაციის შესახებ მოხსენება გააკეთა საზღვარგარეთიდან ეხლახან დაბრუნებულმა ალფ. ხელაძემ და კუპრაშვილმა.

მომხსენებლებმა ამომწურავ პასუხს იძლეოდენ შეკითხვებზე.

## კურსანტების გამოშვება.

ქუთაისში მოხდა საკოოპერაციო გადასამზადებელ კურსების მსმენელთა გამოშვება. კურსები დაამთავრა 53 კაცმა. მათ შორის 40 კაცი მოვლენილი იყო დასავლეთ საქართველოს ძირა კოოპერაციებიდან და 13 თავისუფალი მსმენელი აჭარისტანიდან.

# აჭარისტანში

### ჭაობების ამოშრობა

ნატანების რაიონში მალე დაიწყება მუშაობა ჭაობების ამოსაშრობად. ამოშრობილ უნდა იქნას 4.000 დესეტინა მიწა.

### ხვნა ტრაქტორით

ქობულეთის საკრედიტო ამხანაგობა შეუდგა მინდვრის მუშაობას. მიწებს ხნავენ ტრაქტორით. ტრაქტორით ხვნა პირველი შემთხვევაა აჭარისტანში.

### სესხი სახალხო მამულს

საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-მ გასცა ჩაქვის სახალხო მამულის სახელზე 100.000 მანეთი მომავალ საგაზაფხულო მუშაობისთვის.

## ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲞᲔᲙᲘᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲩᲐᲑᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ბურჟუაზიული სახელმწიფოები აშკარად აღიარებენ, რომ სახალხო არმიამ ყველაზე უკეთ შესძლო წესრიგის დაცვა პეკინში.

მაგრამ, რადგანაც სახალხო არმია ეხმარება ჩინეთის ეროვნულ—რევოლიუციონურ მოძრაობას, სახელმწიფოები, რა საკვირველია საჭიროთ და მათ სასარგებლოდ სთვლიან, რათა პეკინი დაიკავოს ან ჩან-ძო-ლინ-მა, ან უ-პეი-ფუმ (ორივე რეაქციონერია), თუმცა ეს გადააქცევს პეკინს საომარ მოქმედების ასპარეზად.

იაპონიის დიპლომატიური მისია გადაჭრით მოითხოვს, რათა პეკინი გადაეცეს ჩან-ძო-ლინს. შეერთებულ შტატებს ეს არ მოსწონს. ის ასეთი წინადადების წინააღმდეგია, ვინაიდან ეშინია იაპონიის გავლენის გაძლიერებისა ჩინეთის საქმეში.

„აზიატიკის" სააგენტო იტყობინება, რომ ჩან-ძო-ლინმა, ზოგიერთ სახელმწიფოებთან ერთად გამოიმუშავა სამოქმედო გეგმა პეკინის ხელში ჩაგდებისთვის. ეს გეგმა, რასაკვირველია, მიზნად ისახავს ეროვნულ მოძრაობის ჩახშობას და პოლიტიკის შეცვლას საბჭოთა კავშირის მიმართ.

საბჭოთა კავშირის მიმართ პოლიტიკის შეცვლას განსაკუთრებით დაჟინებით მოითხოვს ინგლისი. ინგლისი წინადადებას აძლევს ჩან-ძო-ლინს მოითხოვოს საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის კარახანის გაწვევა უკან და იმავ დროს შესწყვიტოს ყოველგვარი დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

თუ რომ ჩან-ძო-ლინი პეკინს ხელში ჩაიგდებს და განახორციელებს ამ გეგმას, ცხადია, ინგლისი მისცემს მას საგრძნობ სესხს შეღავათიან პირობებში.

იმავე სააგენტოს ცნობით, იაპონია თანახმაა ეროვნულ მოძრაობის ჩახშობის, მაგრამ როგორც სჩანს, წინააღმდეგია ჩინეთ-საბჭოთა ურთიერთობის გამწვავების.



ჩან-ძო-ლინი (ზევით)
უ-პეი ფუ (ქვევით)

სააგენტოს ცნობით მდგომარეობა მეტად რთულია, მასთან უ-პეი-ფუს პოზიცია ჯერ გამოურკვეველია. როგორც ფიქრობენ, უ-პეი-ფუს მოქმედება ფრთხილი იქნება, რათა აღიდგინოს პატრიოტის სახელი, რომელიც მეტად შეირყა მის შემდეგ, როცა ის კავშირში შეეკრა ჩან-ძო-ლინს.

## ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲞᲠᲔᲡᲐᲨᲘ

იმ მუშაობასთან ერთად, რომელიც მიმართულია მოსახლეობის გასამხედროებისკენ, უნდა იქნეს გადადგმული ნაბიჯები სამოქალაქო პრესაში მხედრული სულის შესატანათ.

სამხედრო კუთხეებთან ერთად, რომლებითაც მოფენილია საქართველოს ტერიტორია, უნდა ყოველ სამოქალაქო გაზეთში გამოვყოთ სამხედრო (წითელი ჯარის) განყოფილება.

ხელმძღვანელ ორგანოების მიერ ამ დარგში გამოცემულია შესაფერისი ინსტრუქციები.

უეჭველია პირველ ყოვლისა ამ ინსტრუქციების ცხოვრებაში გატარება უნდა იკისრონ ჩვენი წითელი ჯარის ნაწილებმა. თუ სამხედრო კუთხეების საშვალებით ჩვენ ვავრცელებთ მოსახლეობის შორის სამხედრო ცოდნას, პრესის საშვალებით ჩვენ უნდა მივაწოდოთ მოსახლეობას ცნობები წითელი ყაზარმის ცხოვრებიდან, ჩვენი სწავლებიდან, ჩვენი მიღწევებიდან, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ დარგებში. მხოლოდ, ცნობების მიწოდება უნდა ხდებოდეს სისტემატიურად, ყოველ დღიურათ.

ჩვენმა სამხკორებმა უნდა მიიღონ მხედველობაში ეს ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება და დაუყოვნებლივ შეუდგნენ წითელი ჯარის ცხოვრების გაშუქებას სამოქალაქო პრესაში.

ჩვენი სამხკორთა ქსელი დღეს-დღეობით ძალიან გაფართოებულია და წარმოადგენს მნიშვნელოვან ძალას. ჩვენი სამხკორები მოიძებნებიან საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. და აი მათ უნდა იკისრონ გაშუქება სამოქალაქო პრესაში ყოველ საკითხის, რომელიც ეხება წითელ ჯარს.

მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ტერიტორიალურ მშენებლობის მიმდინარეობას, ვინაიდან ამაში დაინტერესებულნი არიან როგორც თვით ყაზარმა, აგრეთვე მუშა და გლეხი.

ზოგი იტყვის, რა საჭიროა სამხედრო განყოფილება სამოქალაქო გაზეთებში, როდესაც არსებობს წმინდა სამხედრო ორგანო „წითელი არმიელი"?

„წითელი არმიელი" ვრცელდება მეტ წილად წითელ ყაზარმაში, მას არ შეძულიან დააკმაყოფილოს ფართე მოსახლეობა, იგი ემსახურება მხოლოდ წითელარმიელს.

აი ამიტომ არის საჭირო შეტანა სამხედრო სულის სამოქალაქო პრესაში.

ამ გზით, სამოქალაქო პრესაში სამხედრო განყოფილებების საღ ნიადაგზე დაყენებით და გაძლიერებით, შევძლებთ კეთილად დავაგვირგვინოთ დიადი საქმე—მოსახლეობის გასამხედროება.

ე. ხუციშვილი.

## ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ
### ᲮᲔᲚᲘᲡ ᲧᲣᲛᲑᲐᲠᲔᲑᲘ

ყველა ხელის ყუმბარები, დანიშნულებით იყოფიან შემდეგ ტიპებათ:

1. მძიმე ხელის ყუმბარები—ფუგასიური მოქმედების,
2. მსუბუქი ხელის ყუმბარები—ნამსხვრევ მოქმედების (შეტევითი, მოგერიებითი),
3. ქიმიური ხელის ყუმბარები.

მძიმე ხელის ყუმბარები—ფუგასიურ მოქმედების—იწონიან 2 კილოგრამამდი.

მათი დანიშნულებაა მკვდარი მიზნების დანგრევა ფუგასიურ მოქმედებით (ხელოვნური დაბრკოლებების, მიწურები და სხ.). ვინაიდან ფუგასიურ მოქმედების ძალა დამოკიდებულია ასაფეთქებელ მუხტის სიდიდეზე და არა ნამსხვრევების ხარისხზე, ამისათვის ამ ყუმბარებს აქვს, მსუბუქი (თუნუქის) ტანი და მუხტი კი 1,6 კილოგრამამდი, ძლიერი ასაფეთქებელ ნივთიერებისაგან.

ფუგასიური ხელის ყუმბარები, მოწყობილნი არიან, მხოლოთ სამანძილო მოქმედებისთვის, რათა საშვალება მიეცეს მტყორცნელს ტყორცნის შემდეგ მიმალვის. (ასეთი ყუმბარის ტყორცნას სჯობს მიტანა და შედება დასანგრევ საგნის ქვეშ, ანთება და შემდეგ მიმალვა, ვინაიდან სიმძიმის გამო, მათი ტყორცნის სიშორე ძლიერ შეზღუდულია).

სამანძილო შემადგენლობის წვის დრო—ფუგასიურ ყუმბარისთვის უდრის 8-13 წამს.

მსუბუქი ხელის ყუმბარები—ნამსხვრევ მოქმედების იწონიან 1 კილოგრამამდი.

მათი დანიშნულებაა—მტრის ცოცხალი ძალის დაზიანება ნამსხვრევებით.

ამისთვის ამ ტიპის ყუმბარებს აქვს მცირე ასაფეთქებელი მუხტი 80-150 გრამამდი და მასიური ტანი, რომელსაც შეუძლია ძლიერი ნამსხვრევების მოცემა. თუ ყუმბარას ვხმარობთ იერიშის დროს, დაზიანების უბანი, არ უნდა აღემატებოდეს 6-10 მეტრს, რათა შესაძლებელი იქნეს, უხიფათოთ ტყორცნა ყუმბარის, იერიშის მისატან სანგარში და წინ მოძრაობის გაგრძელება, ხიშტის კვეთებისთვის. ასეთ მოწყობილ ყუმბარებს ეწოდება შეტევითი, მათი ტანი არის რკინის ან თუნუქის, უკანასკნელ შემთხვევაში თუნუქის ქვეშ, მოთავსებულია სპეციალური რკინის ცხვერი—ნამტვრევებისთვის, ვინაიდან ნამტვრევები არის მსუბუქი, ჰაერის წინააღმდეგობა არ აძლევს საშვალებას, რომ ამ ყუმბარების დაზიანების უბანი აღემატებოდეს 6 10 მეტრს.

თუ ხელის ყუმბარა მოწყობილია მოგერიებით ბრძოლისთვის (როდესაც მტყორცნელს აქვს მუდმივი თავშესაფარი, სანგარი და სხვა) ნამსხვრევებით დაზიანების უბანი შეიძლება იქნეს მეტათ დიდი. არსებულ ხელის ყუმბარებისთვის ეს უბანი აღწევს 200 მეტრამდი. ეს კი მიღწეულია იმით, რომ ამ ყუმბარებს აქვს თუჯის ტანი, რომლის ნამსხვრევები ადვილათ ლახავენ ჰაერის წინააღმდეგობას და აყენებენ მეტ ზიანს მტერს.

როგორც ზემო ნათქვამიდან სჩანს შეტევით ხელის ყუმბარების მოხმარება შეიძლება, როგორც იერიშის დროს, აგრეთვე მოგერიებითი ბრძოლის დროსაც.

ვ. შოთაძე.

**ᲐᲛᲮ. ᲐᲛᲮ. ᲬᲘᲗᲔᲚᲐᲠᲛᲘᲔᲚᲔᲑᲝ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲔᲗ, ᲓᲐ ᲒᲐᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ"**

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲐᲦᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ*).

### Კ. ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲕᲘ.

(დასასრული)

### ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐ

რაც შეეხება წითელი არმიის მომარაგებას, ის გაუმჯობესდა ჩვენი სამეურნეო ცხოვრების გაძლიერებასთან შეფარდებით.

საკავშირო საბჭოების მე-III ყრილობაზე მ. ვ. ფრუნზემ მოიყვანა შემდეგი ციფრები მეთაურთა ჯამაგირის შესახებ, რაიც გამოიხატება შემდეგში: ასეულის უფროსი ღებულობდა 53 მანეთს, ლეგიონის უფროსი—85 მანეთს, დივიზიის უფროსი—110 მანეთს. ამის შემდეგ მომატება ორჯერ წავიდა. ასეულის უფროსი დღეს ღებულობს 78 მანეთს, ლეგიონის უფროსი—120 მანეთს, დივიზიის უფროსი—155 მანეთს. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა უნდა ვსთქვა, რომ ჩვენი მეთაურთა და პოლიტიკური შემადგენლობა ღირსია უფრო მეტს ღებულობდეს. მაგრამ შემდეგი მომატება დამოკიდებულია ჩვენი სახელმწიფოს მეურნეობის ზრდაზე.

ამ ხნის განმავლობაში გაუმჯობესდა წითელი არმიის კვებაც. გაუმჯობესებულია აგრეთვე ნივთებით კმაყოფაც და მომავალშიც გაუმჯობესდება ის.

### ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲛᲝᲛᲭᲘᲠᲜᲔᲝᲑᲐ

ის ასეული მილიონები, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ მუშურ-გლეხური სახელმწიფოსაგან, საკმაო საგრძნობი თანხაა ჩვენი ქვეყნისთვის. საჭიროა, რათა ყველა მეთაურებმა, კომისრებმა და წითელ არმიელებმა ისწავლონ მომჭირნეობა. თუ რომ ჩვენ მომჭირნეობას შევითვისებთ, წითელი არმიის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდება იმ საშუალებებითაც კი, როგორიც ჩვენ მოგვეპოება დღეს.

### ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐ

სამხედრო მრეწველობა ჯერ კიდევ მძიმე მდგომარეობაშია. ამჟამად სამხედრო მრეწველობაზე ჩვენ ვხარჯავთ საკმაო თანხას, მაგრამ შრომის ნაყოფიერება ვერ სდგას კიდევ სათანადო სიმაღლეზე. ნაწარმოების ფასი დიდია, ხოლო ხარისხი დაბალი. ვფიქრობ, რომ ამ მიმართულებით ჩვენ დიდი მუშაობა გვმართებს, რომ დავაყენოთ სამხედრო მრეწველობა მტკიცე ნიადაგზე.

### ᲔᲠᲗᲣᲤᲠᲝᲡᲝᲑᲐ.

ერთ წელზე მეტია, რაც ჩვენ დავიწყეთ ერთუფროსობის გატარება არმიის რიგებში. ჩვენი არმია აგებული იყო ორუფროსობაზე. ეს პრინციპი, რომელიც ისე საჭირო იყო სამოქალაქო ომის პირობებში, დღეს გაუქმებულია. ერთუფროსობა დღეს მტკიცედ იკიდებს ფეხს და ერთ-ორ წლის განმავლობაში ეს პრინციპი, თუ ერთიანი არა, ძირითადი მაინც იქნება.

ჩვენს არმიაში დღეს მუშაობს მეტად ბევრი ძველი სპეციალისტი. ამ უპარტიო სპეციალისტებსა და პარტიულებს შორის, არსებითად, არავითარი განსხვავება არ არის. ისინი ისეთივე ამხანაგებია და ისევე დაიცავენ მუშურ-გლეხური სახელმწიფოს საბრძოლო სადარაჯოებს, როგორც თვითეული პარტიული ამხანაგი. მე ვლაპარაკობ მხოლოდ უფროს მეთაურებზე, უფროს ხელმძღვანელებზე, მე არ ვეხები მრავალ ათას მეთაურებსა და სამხედრო ადმინისტრატორებს, რომლებიც იმყოფებიან ჩვენ მრავალ დაწესებულებებში. ისინი ყველა გარდაიქმნენ, გადადუღდნენ ჩვენს მუშურ-გლეხურ და წითელ არმიელთა ქვაბში და წარმოადგენენ მუშაკებს, რომლებსაც კომისარი, ძველი ამ სიტყვის მნიშვნელობით უკვე არ ესაჭიროება და ხელსაც კი შეუშლის მუშაობაში. ეს საკითხი არ უნდა აურიოთ პოლიტხელმძღვანელობის, აღზრდისა და პარტიული კონტროლის საკითხს წითელი არმიის მთელ მუშაობაზე.

### ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲤᲚᲝᲢᲘ.

უკანასკნელ წელში საზღვაო ფლოტში დიდი მიღწევები გვაქვს არა მარტო პირადი შემადგენლობის მომზადების, არამედ საორგანიზაციო დარგშიც. ჩვენ გვყავს ფლოტი, რომელიც მართალია არ შეიძლება დავაყენოთ ინგლისის ფლოტის გვერდით, მაგრამ რომელიც სათანადო პასუხს გასცემს მას, თუ რომ ის განიზრახავს შემოიჭრას ჩვენს სანაპიროებში.

### ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲤᲚᲝᲢᲘ.

ჩვენმა საჰაერო ფლოტმაც დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ და ზედმეტი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ის ერთ-ორ წელში გახდება ისეთი ძალა, რომელსაც იძულებული იქნება ჩვენი მეზობლები ანგარიში გაუწიონ.

ჩვენმა მფრინავებმა, ჩვენმა სპეციალისტებმა მიაღწიეს ისეთ სპეციალიზაციასა და მომზადებას, რომ ჩვენ თამამად უყურებთ მომავალს და დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი საჰაერო ფლოტი ღირსეულად აასრულებს მასზე დაკისრებულ ამოცანებს.

### ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ.

წითელი არმია წინანდებურად ძლიერია სულით, საღი და დისციპლინიანია, როგორც არც ერთი არმია.

ჩვენი დისციპლინა აგებულია მეომრის შეგნებაზე, მეთაურსა და წითელ არმიელის ურთიერთ დამოკიდებულობაზე. ჩვენი დისციპლინა აგებულია არა შიშზე, არამედ ხელმძღვანელთა და ხელქვეითთა ურთიერთ გაგებაზე.

### ᲞᲐᲠᲢᲞᲝᲚᲘᲢᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ.

ჩვენი პარტორგანიზაცია, უნდა ითქვას, რომ ვერაა განსაკუთრებით დიდი. 1925 წლის 1-ლ ოქტომბერს ითვლებოდა 63 ათასი კომუნისტი და კანდიდატი.

ერთი წლის განმავლობაში პარტიულთა რიცხვი გაიზარდა 34 პროც-ით. ნუ ვიფიქრებთ-გადიდება მომხდარიყოს ხარისხის შემცირების ხარჯზე. რასაკვირველი-ა, ეს ასე არაა.

წითელი არმიის პარტიული მუშაკები მუშაობის განსაკუთრებულ პირობებში იმყოფებიან. თვითეული კომუნისტი—წითელი არმიელი უნდა იყოს არა მარტო კარგი კომუნისტი, არამედ ის უნდა იყოს აგრეთვე კარგი წითელი არმიელიც.

დღეს წითელ არმიელს სწამს ისეთი კომისარი და პოლიტმომუშავე, რომელიც მის გვერდით სწავლობს, რომელსაც შეუძლია ასწავლოს წითელ არმიელს არა მარტო პოლიტიკური მეცნიერება, არამედ ყოველმხრივი ხელმძღვანელობა გაუწიოს მას.

### ᲩᲕᲔᲜᲘ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ.

ჩვენ უნდა ვცდილობდეთ ავამაღლოთ ჩვენი წითელი არმიის ტეხნიკური ძლიერება. ჩვენ უნდა დავაყენოთ სათანადო სიმაღლეზე ჩვენი სამხედრო მრეწველობა.

დასავლეთის ბურჟუაზია ხმამაღლა ალაპარაკდა განიარაღებაზე. ეს განიარაღება, რომელზედაც ის ლაპარაკობს, სასტიკი გაფრთხილებაა მომავალი ომის მოლოდინში. ეს კი გვიკარნახებს ჩვენ—გვყავდეს ძლიერი წითელი არმია. ასეთი არმია თუ გვეყოლება, „განიარაღებაც" არც იმდენად საშიში იქნება.

*) ამხ. კ. ე. ვოროშილოვის მოხსენებიდან, რომელიც გააკეთა მან მოსკოვის დიდ თეატრში საზეიმო სხდომაზე ა. წ. 25 თებერვალს.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## შეჯიბრი სროლაში.

მე-2 ლეგიონის მე-2 ათასეული.

ამ რამოდენიმე დღის წინად ათასეულის ასეულებს შორის მოეწყო შეჯიბრი სროლაში. შეჯიბრს დიდი ხალისით შეხვდა ათასეულის მთელი შემადგენლობა.

ყველა ასეულებმა ამოარჩიეს საუკეთესო მსროლელები, რომლებიც ათასეულის თავის ხელმძღვანელობით გაემგზავრენ შეჯიბრისათვის სროლის მოედანზე.

შეჯიბრი წარმატებით ჩატარდა. საერთო გამოანგარიშებით მეორე ათასეულმა გაცილებით უფრო დიდი ღირსება გამოიჩინა სროლაში ვინემ ლეგიონის სხვა ათასეულებმა. ფულადოთ დარიგებული იქნა საუკეთესო მსროლელებზე, როგორც ფული, ისე სხვა და სხვა ნივთები.

წითელარმიელები ძლიერ ნასიამოვნები დარჩენ შეჯიბრით და მხიარულად გამოეშურენ ყაზარმისაკენ.

წ. არმ. კვაჭაძე.

## ექსკურსია მთავარ სახელოსნოში.

მე 2 არტლეგიონი.

27 მარტს ლეგიონის სკოლისა და ბატარეიის შემადგენლობა წაგვიყვანეს მთავარ სახელოსნოს დასათვალიერებლად. მეტად ხალისიანობით შეგვეგებენ მუშები. გამოყვეს ორი მუშა, რომლებიც დაგვყვებოდენ გვერდში და დაწვრილებით გვიხსნიდენ თითეული მანქანის დანიშნულებას, მისი მუშაობის ნაყოფიერებას და მრავალი სხვა. სახელოსნომ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. განსაკუთრებით დაგვაინტერესა ლითონის ჩამომსხმელი ცეხის ნახვამ. აქ ისეთი სიცხე სდგას გადამდნარი რკინის გამო, რომ სული შეეხუთება კაცს. მუშებიც წელს ზევით ტიტველა მუშაობენ. ისე ვერ უძლებენ სიცხეს.

ძლიერ გვაინტერესებდა აგრეთვე მუშების ხელფასიც. ყველა კმაყოფილებას გამოსთქვამდენ იმ მხრივ, რომ მუშურ-გლეხური ხელისუფლება მათ დიდ ყურადღებას აქცევს.

ექსკურსიამ მეტად დაგვაკმაყოფილა. კარგია სხვა ნაწილებიც გაეცნობოდენ მთავარ სახელოსნოს.

სამხკორი ვ. ერემაშვილი

## რა გამოაშკარავა გასამართლებამ

მე-2 ლეგ. 6 ასეული.

ამას წინად ასეულში მოეწყო ლიტერატურული გასამართლება. გასამართლებული იქნა გასული წლის გაზეთ „წითელ არმიელის" ნომერში მოთავსებული მოთხრობიდან „მეოცნებე გუშაგი". გასამართლებამ ძლიერ საინტერესო სახე მიიღო. დამცველებისა და ბრალმდებლების როლებში გამოვიდენ თვით წითელ არმიელები. გასამართლებას ხელმძღვანელობდა ოცეულის თავი. წითელ არმიელები ერთხმად სდებდენ ბრალს მოთხრობის გმირ წითელ არმიელს იმ გაუფრთხილებლობისთვის, რომელიც მან გამოიჩინა გუშაგობის დროს და დაივიწყა თავისი მოვალეობა.

გასამართლებამ ნათელყო ის გარემოება, თუ როგორ გულმოდგინეთ ეკიდებიან ჩვენი წითელ არმიელები სამსახურს და როგორ მტკიცედ არის მათში გამჯდარი დისციპლინის დაცვის და სამხედრო მოვალეობის ერთგულად შესრულების სურვილი.

მოთხრობის გმირს ერთხმად გამოუტანეს წითელ არმიელებმა სათანადო სასჯელი.

სამხკორი ილ. მზრინავა.

## ვინახულეთ ზოოლოგიური მუზეუმი.

1-ლი არტლეგიონი.

28 მარტს ლეგიონის მასწავლებელ ნიჟარაძის ხელმძღვანელობით მოეწყო ექსკურსია ზოოლოგიურ მუზეუმში. მისვლისთანავე ამხანაგმა სათანადო განმარტება მოგვცა მუზეუმზე და ზოგადათ ცხოველებზე საერთოდ. დავიყავით ჯგუფებად ამის შემდეგ და ისე შეუდექით მუზეუმის დათვალიერებას, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე.

აქ დაწვრილებით გავეცანით ამიერკავკასიაში მობინადრე ცხოველებსა და ფრინველებს, რამაც კიდევ უფრო შეავსო ჩვენი ცოდნა.

კარგი იქნება თუ ჩვენი ხელმძღვანელი არ დაიზარებს და კიდევ დაგვათვალიერებიებს სხვა შესანიშნავ დაწესებულებებს ჩვენს დედაქალაქში. ეს დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს წითელარმიელებს.

სამხკორი შ. ა—ლი.

### შეგვიკეთეთ ფეხსაცმელები.

1-ლი ლეგიონის ბატარეიაში არიან რამოდენიმე წითელ არმიელები, რომლებსაც სავსებით შამოაცვდათ ფეხსაცმელები. შეგვპირდენ საძირეების მოცემას, მაგრამ გადის ხანი და დაპირებულს არავინ გვაძლევს. ზოგიერთებს თითქმის ძირგავარდნილი ფეხსაცმელებით უხდებათ სიარული. სამნეო ნაწილო მოგვაქციე ყურადღება. მოგვეცით დაპირებული საძირეები.

სამხკორი შრაპნელი.

## რას ვაკეთებთ.

მეთაურთა სკოლის წითელ არმიელების ლენკუთხე.

მეთაურთა გაერთიანებული სკოლის წითელ არმიელებს ლენინის კუთხეში ყოველ ორშაბათობით სისტემატიურად ტარდება საუბრები სხვა და სხვა საჭირბოროტო თემებზე. წარსულ ორშაბათს, 29 მარტს სკოლის იარაღის გამგე ამხ. კავთელაძემ ჩაატარა საუბარი ალმზრდელობის შესახებ. ამხანაგმა აღნიშნა თუ რა ცუდი შედეგები მოსდევს საერთო წესის დარღვევას და ან ამხანაგისადმი ცუდათ მოპყრობას. წითელ არმიელები ძლიერ დაინტერესა საუბარმა. მისცეს მრავალი შეკითხვები. კარგი იქნება ხშირად გაგვიმართავდენ ჩვენი ხელმძღვანელები ასეთი ხასიათის საუბრებს.

წ. არმ. ა. კვიჭვიძე

## ჩვენი ბატარეია გამოცოცხლდა.

1-ლი ლეგიონი.

ჩვენი ბატარეია ძლიერ გამოცოცხლდა ამ უკანასკნელ ხანებში მაინც. მეცადინეობა იშვიათი გულმოდგინეობით სწარმოებს ყველა დარგებში. დიდი ყურადღება ექცევა სამხედრო საქმის საფუძვლიანათ შეთვისებას. არსებობს სამხედრო წრე. დაარსებული იქნა აგრეთვე ქიმიისა და საჰაერო ფლოტის წრეები: რომლებშიდაც მრავლად არიან ჩაწერილი წითელ არმიელები და მეცადინეობენ.

არსებობს ლიტერატურული, პოლიტიკური და სხვა ხასიათის წრეებიც, რომლებშიაც არა ნაკლები ნაყოფიერებით მიმდინარეობს მუშაობა. ლენინის კუთხეში კი ხშირად იმართება საუბრები. ხმამაღალი კითხვა და ლიტერატურული გასამართლებები.

სამხკორი ჭალისხეველი.

## საჭიროა სამხატვრო წრე.

1-ლი არტლეგიონი.

ლეგიონში ამ ჟამად გამოდის ექვსი კედლის გაზეთი. ერთი ლეგიონის და ხუთი კი ბატარეიებში, რომლებსაც ესაჭიროება მხატვრები. ლეგიონში გვყავს სულ ორი მხატვარი წითელ არმიელი, რომლებიც ამ ჟამად დაიარებიან სამხატვრო სკოლაში და ისე არიან დატვირთული, რომ ძლივს ასწრებენ მუშაობას მარტო ლეგიონის გაზეთში. ბატარეიების გაზეთები კი ამ მხრივ სრულიად უყურადღებოთ არიან მიტოვებული.

ამ გარემოების თავიდან ასაცილებლად საჭიროა დაარსდეს ლეგიონში სამხატვრო წრე, რომელშიაც შეგვეძლება მხატვარ წითელ არმიელთა კადრის მომზადება და მით ბატარეიების კედლის გაზეთების უზრუნველყოფა.

ამნაირად შევსძლებთ, რომ ჩვენი გაზეთები მხატვრულად სრულდებოდეს.

კლუბის უფროსმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას.

სამხკორი ა. არველაძე.

## ჩვენს სამხკორთა შორის.

მე-2 ლეგ. მე-2 ათასეული.

ლეგიონის მეორე ათასეულის მე-6 ასეულში შესდგა სამხკორთა წრის კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება წრის ხელმძღვანელ ამხ. თელიას მიერ. მომხსენებელმა ვრცლად გაგვაცნო თუ რას ემსახურება სამხკორი, როგორ უნდა სწერდეს ის და რას ეხებოდეს უმთავრესად ნაწილის ცხოვრებიდან. დაგვირიგა გაზ. „წითელი არმიელის" რედაქციის მიერ გამოცემული წიგნაკები სამხკორთა მუშაობის შესახებ.

კრებამ გამოიმუშავა სამეცადინო გეგმა, დანიშნა სამეცადინო დღეები და სხვა.

ამ დღეს ლეგიონის მეექვსე ასეულში პირველად ჩაეყარა საფუძველი სამხკორთა ორგანიზაციას. პირველმა მეცადინეობამვე დაგვარწმუნა, რომ ჩვენ შევსძლებთ მტკიცედ და წარმატებით შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა და ფხიზელ დარაჯათ ვედგეთ ნაწილის ცხოვრებას.

წითელ არმიელთა ფართო მასაში უკვე იწერება სავარჯიშო წერილები, რომელსაც გულმოდგინეთ ასწორებენ წრის ხელმძღვანელები.

სამხკორი გულეიკარელი.

## მოგვიწყვეთ ექსკურსია

1-ლი ლეგიონი.

კიდევ რამოდენიმე დღე და ტფილისში გაიხსნება სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. ეს გამოფენა დიდ მნიშვნელოვანია მიწის მუშა წ. არმიელებისათვის, რომლებიც ნათლად, თავიანთი თვალით დაინახავენ ყველა იმას, რაც საჭიროა გლეხის მეურნეობის გასაუმჯობესებლად. კარგი იქნება თუ ეხლავე შეუდგება ნაწილი სამზადისს ექსკურსიის მოსაწყობათ, რითაც საშვალება მოგვეცემა წ. არმიელებს გამოფენაზე ყველაფრის ნახვის. ერთხელ კიდევ უნდა დავარწმუნოთ ჩვენი წითელ არმიელები, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მეურნეობის წარმოებას ახალი წესით.

სამხკორი კ. მინდიაშვილი.

# კონკურსი საუკეთესო მუშაკებზე, სამხედრო კუთხეებზე და კარგ მკითხველ წითელ არმიელებზე.

## ჩვენი საუკეთესო ცვალებადელები.

მე-5 ლეგიონი.

სვირის შესაკრებ რაიონს ყავს ორი საუკეთესო ცვალებადელი, ამხ. ამხ. იუსტინე ცხადაძე და კვინიკაძე სევერიანე, რომლებმაც შეკრების დროსა და შემდეგ გამოიჩინეს დიდი აქტივობა. ამხანაგები არიან სვირის თემის რწმუნებულები. არჩეული არიან ცვალებადელების მიერ, რომლებიც სავსებით აკმაყოფილებენ გაზეთ „წითელ არმიელში"—მოთავსებულ საკონკურსო კითხვებს.

შეკრების შემდეგ მათ დაიჭირეს ჩვენთან ძლიერი კავშირი. ამხ. ი. ცხადაძემ წაიღო ჩვენი ლეგიონის ბიბლიოთეკიდან სამხედრო ხასიათის წიგნები და სურათები სვირის თემის ქოსამკითხველოსათვის, რომლის გამგეც თვითონ არის და სადაც მან ჩვენი დახმარებით მოაწყო სამხედრო კუთხე.

ავრცელებს და კითხულობს რეგულიარულად, გაზ. „წითელ არმიელ"-ს, იკრებს თავის გარშემო ჩვენს ცვალებადელებს და აწარმოებს მათთან სამხედრო ხასიათის საუბრებს.

აქვს მჭიდრო კავშირი და საკმაო ავტორიტეტი მცხოვრებთა შორის. ამხ. ცხადაძე არის ამავე თემში დრამწრის ხელმძღვანელი, რომელმაც ჩვენგან პიესებიც წაიღო სამხედრო რევოლიუციონური ხასიათის, ტერ-მშენებლობის პოპულიარიზაციის მიზნით.

კოლექტიური აბონიმენტით სცვლის წაღებულ წიგნებს ჩვენს ბიბლიოთეკაში. აქვს მჭიდრო კავშირი ლეგ-ბიურო-კოლექტივთან, თავის ნაწილის უფროსებთან, რომლებიც აძლევენ საჭირო დირექტივებს.

აღნიშნული ცხადაძე არის, კომპარტიის კანდიდატი, ღარიბი გლეხის შვილი.

ამხ. კვინიკაძე, სევერიანე, არის ამავე თემის რწმუნებული, რომელიც მიწერის მეორე დღესვე გამოეცხადა კომისიას და უწევდა მას შესაძლო დახმარებას თავისი სურვილით. ესწრებოდა მეცადინეობას სისტემატიურათ.

ამხ. კვინიკაძე ითვლება დრამწრის აქტიურ წევრათ, აქვს ჩვენთან მჭიდრო კავშირი, კითხულობს გაზ. „წითელ არმიელს" და ავრცელებს მას. კარგი ავტორიტეტი აქვს ცვალებადელთა შორის.

ან. ანდღულაძე.

## წერა კითხვის უცოდინარეობის საუკეთესო ლიკვიდატორი.

მე-6 ლეგიონი.

1925 წლის 1 მაისიდან ამხ. ჯაფარიძე ენერგიულად შეუდგა ლეგიონში წერა-კითხვის უცოდინარ წითელ არმიელების მომზადებას. საერთოდ ამხ. ჯაფარიძე ამ დარგში მუშაობს წითელი ჯარის რიგებში 1923 წლის 1 აპრილიდან. მთელი ამ ხნის განმავლობაში მან შეასწავლა წერა-კითხვა დაახლოებით 700 წითელ არმიელს, სალიკვიდაციო მუშაობაში ჩააბა მცოდნე წითელ არმიელების უმრავლესობა და იყენებდა მათ უცოდინართა ჯგუფების ხელმძღვანელებად. კარგი კავშირი აქვს სამოქალაქო ორგანიზაციებთან. ქ. ტფილისის პოლიტგანათლების განყოფილებიდან მიიღო 1000 ცალი რვეული, 1000 ცალი ფანქარი და 350 ცალი წიგნი „სინათლისაკენ" და ამასთანავე სხვა სამოსწავლო ნივთები.

წერა-კითხვას ასწავლის კომპლექსიური მეთოდით, მომზადება ამ მხრივ კარგი აქვს. მეცადინეობა დაკავშირებული აქვს პოლიტ-მეცადინეობასთან.

ენერგიულად მუშაობს ამხანაგი სკოლის გარეშე მუშაობის დარგშიც. უყრის თავს წითელ არმიელებს და აძლევს რჩევა დარიგებას თუ როგორი წიგნები წაიკითხონ და ხშირად საუბრებსაც ატარებს მათთან სხვა და სხვა თემებზე.

შეადგინა უცოდინარ ცვალებადელთა სიები და გადაგზავნა ადგილობრივ ლიკპუნქტებზე. მიღებული ცნობების თანახმად ყველა ეს ამხანაგები გამოცხადდენ პუნქტებზე და სწავლობენ წერა-კითხვას.

თვით ნაწილის ძირეულ შემადგენლობაში კი 25 დეკემბრიდან დღემდე სრულიად აღმოფხვრა წერა-კითხვის უცოდინარეობა.

სამხკორი ე—ლი.

### სად წავიდა ჩვენი ხვედრი შაქარი?

იანვრის უკანასკნელ რიცხვებში პირველი ლეგიონიდან მოგვავლინეს მესამე ლეგიონში რამოდენიმე წითელ არმიელები, რომლებსაც მიუღებელი გვქონდა იანვრის ნახევარითვის ხვედრი შაქარი. მივლინების შემდეგ ასეთი ჩვენ აღარ მიგვიღია.

ამას გარდა ამავე ლეგიონიდან საკავშირო ასეულშიც არიან მოვლენილი რამოდენიმე წითელ არმიელები. ისინი სულ შამოხეული არიან. ტანისამოსით 1-ლ ლეგიონმა უნდა უზრუნველყოს ისინი, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს.

მოგვეცით ჩვენი ხვედრი, მოგვაქციეთ ყურადღება ვისგანაცჯერ არს.

წ. ჯოლ. სიმონ როყავა.

## ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

### მოხსენება საშეფო საზოგადოებაზე.

მე-2 საკავშირო ასეული.

ასეულის კომუჯრედის გაერთიანებულ კრებაზე 25 მარტს გაკეთებული იქნა მოხსენება საერთოდ შეფობაზე და ასეთი საზოგადოებების მნიშვნელობაზე. მომხსენებელმა ვრცლად აღნიშნა საშეფო ორგანიზაციის მოვალეობანი. იყო მრავალი შეკითხვები, რის შემდეგაც ამორჩეული იქნა ასეულშისაშეფო საზოგადოების გამგეობა და სარევიზიო კომისია.

გამგეობას დაევალა მჭიდრო კავშირი იქონიოს სოფლებისა და ქალაქის სამოქალაქო დაწესებულებებთან. მოსმენილი იქნა მოხსენება აგრეთვე სამნეო დამხმარე ჯგუფის მუშაობის შესახებ ასეულში, რომელიც დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა.

ზოგიერთ ამხანაგებს ძლიერ ცოტა წარმოდგენა ჰქონდათ საშეფო საზოგადოებებზე. კრებამ საშვალება მოგვცა ამ მხრივ კარგად გაგვეცნო საზოგადოების მნიშვნელობა.

კარგი იქნება ხშირად ჩაატარებდენ ჩვენი ხელმძღვანელები ასეთი ხასიათის მოხსენებებს.

წ. არმ. დ. მათიაშვილი.

### ჩვენი ავტორიტეტი იზრდება.

მე 4 ლეგ. 9-ე ასეული.

ჩვენი ასეულის პარტიული შემადგენლობა ძლიერ დატვირთული არის მუშაობით. ხშირად ტარდება გაერთიანებული კრებები ადგილობრივ ცვალებადელებთან ერთად, რომლებიც ყოველთვის მრავლად ესწრებიან კრებებს და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სხვა და სხვა საკითხების გარჩევაში. ასე იქნა ჩატარებული პარიზის კომუნის, 12 მარტის, 21 მარტის და სხვათა აღსანიშნავი კრებები.

ცვალებადელებთან წარმოებული მუშაობა კარგ შედეგებს იძლევა და მრავალი ამხანაგები მოიწევენ ჩვენი პარტიის რიგებისაკენ. ასე იზრდება ჩვენი ავტორიტეტი უპარტიოთა შორის.

სამხედრო ა. იმერლიშვილი.

### არც ჩვენ ჩამოვრჩებით სხვებს.

1-ლი ლეგ. მე-3 ასეულის უჯრედი.

ნაწილის უჯრედი კარგ ხელმძღვანელობას უწევს ასეულის კომკავშირის ჯგუფს. კომუჯრედი ავალებს კომკავშირელებს აწარმოონ მუშაობა ლენინის კუთხეში უპარტიოთა შორის.

ამხანაგები მორიგეობენ ყოველ საღამოობით და ატარებენ საუბრებს, რაც დიდ ინტერესს იწვევს წითელ არმიელებში.

ამნაირად არც ჩვენ ჩამოვრჩებით ამ მხრივ სხვა ასეულებს და კომუჯრედის ენერგიული ხელმძღვანელობით სასურველი შედეგიც მივიღეთ.

წ.არმ. გონგლაძე.

### წითელ არმიელთა შემოქმედებანი.

2-ე არტლეგიონის კედლის გაზეთი.

ლეგიონს აქვს თავისი ორგანო, რომელიც გამოდის ორ კვირაში ერთჯერ. შედარებით წარსული წლის ნომრებთან, გაზეთი ამჟამად გამოდის უფრო გადიდებული ფორმატით, გაუმჯობესებული შინაარსით და მრავალი კარიკატურებით.

ყველა კამპანიების ჩატარებაში გაზეთი დიდ სამსახურს უწევდა და უწევს ლეგიონს. უმთავრესად კი სისწორით შუქდება გაზეთში თვით ლეგიონის ყოფა-ცხოვრება. ეს განყოფილება მეტის მეტად აინტერესებს წითელ არმიელებს და ხშირად აწვდიან წერილებს რედკოლეგიას.

რომ უფრო მასიური გამხდარიყო გაზეთი, რედკოლეგიამ მოაწყო ლეგიონის ლენინის კუთხეში მისი გასამართლება, რამაც ძლიერ კარგი შედეგი გამოიღო.

ამ დღიდან კიდევ მრავალი წითელ არმიელები შეგვემატენ კორესპონდენტებათ, უმთავრესად ისეთები, რომლებმაც სულ ახლა ისწავლეს წერა-კითხვა.

ამნაირად გაზეთი დღითი-დღე უფრო და უფრო უმჯობესდება და მეტ კორესპონდენტებს იკრებს თავის გარშემო.

სამხედრო პ—პო.

### კარგად მოვეწყვეთ.

მე-4 ლეგ. სკოლა.

პირველ ხანებში სკოლას ცუდ პირობებში უხდებოდა არსებობა, რადგან არა გვქონდა შესაფერი შენობა და სხვა საჭირო საგნები. ლეგიონის მესვეურებმა მალე მიიღეს შესაფერი ზომები ამის წინააღმდეგ. გამოძებნილი იქნა სათანადო შენობა სკოლისათვის, შევიძინეთ ყველა საჭირო იარაღები და მრავალი სხვა.

მეცადინეობა ამ ჟამად ნაყოფიერად მიმდინარეობს. არც ერთი კურსანტი ტყვილა არ აცდენს თავისუფალ საათებს. თითქმის ყოველ მეორე დღეს ჩამოივლის სკოლის უფროსი კურსანტებში ატარებს მათთან საუბრებს, ეკითხება მათ თუ რამე უჭირთ და სათანადო დახმარებასაც უჩენს მათ. საერთოდ სკოლა ძლიერ გამოცოცხლდა და მალე შესაფერი ცოდნითაც დაუბრუნდებით ჩვენს ნაწილებს.

სამხედრო ე. ჯ.

### შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ № 69-ში მოწინავეში მეორე სვეტში ზემოდან არის: დღეს-დღეულად აღრიცხვა იმ სამხედრო პირების, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნილებებს პირველ მაისს დასრულებულად უნდა ჩაითვალოს — უნდა იყოს: რომლებიც აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნილებების პირველ მუხლს დასრულებულად უნდა ჩაითვალოს.

### ბიბლიოთეკის გამგე დროა შეუდგეს მუშაობას.

1-ლ არტლეგიონში 1-ლი მარტიდან გადმოგვიგზავნეს ახალი ბიბლიოთეკარი, რომელსაც უნდა მოეგვარებია საქმე ნაწილში. ეს ამხანაგი ჯერ კიდევ ვერ იცნობს საქმეს და არც ღებულობს ამისათვის შესაფერ ზომებს.

დადის ნაწილში მოგვიანებით და სრულიად არ ეტყობა მუშაობისადმი ხალისი. დროა ლეგბიბლიოთეკის მუშაობა დადგეს თავის სიმაღლეზე. ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი ბიბგამგეს და თუ ის უფრო მეტი ინტერესით არ მოეკიდება თავის მოვალეობას არაფერი გამოვა.

სამხედრო ტი—სი—ძე.

## უცხოეთის არმიებში

### როგორ სწარმოებს იაპონელი ახალგაზრდობის გასამხედროება.

იაპონიის ბურჟუაზიისათვის პირველ საზრუნავ საგანს წარმოადგენს მომავალი ომებისთვის სამზადისი, რისთვისაც ის შეუჩერებლივ აწარმოებს ახალგაზრდობის სამხედრო გაწვრთნას. ამ რამოდენიმე წლის წინად იაპონიის შინაგან და განთლების სამინისტროების ბრძანების თანახმად ჩამოყალიბდა „იაპონიის იმპერიის ახალგაზრდობის კავშირი“, რომლის წევრადაც შეუძლია იყოს წესდების ძალით 12-20 წლის ჰასაკის ახალგაზრდობა.

იაპონელი გენერლები, რომლებიც განაგებენ კავშირის საქმეებს აცხადებენ, რომ კავშირის ძირითადი ამოცანაა—გამოიმუშაოს იაპონიის ახალგაზრდობაში სამშობლოსადმი სიყვარულისა და ეროვნული სიამაყისადმი გრძნობა. ამასთანავე ერთად ისინი ამბობენ, რომ ახალგაზრდობა ნეიტრალური უნდა იყოს პოლიტიკური საკითხებისადმი. ამნაირად ეს ორგანიზაცია ამზადებს ისეთ მომავალ ჯარისკაცებს, რომლებიც ბრმად დაემორჩილებიან „ეროვნული“ მთავრობის ბრძანებას და გაეშურებიან სისხლის მსმელ ომებში.

ბურჟუაზიული ახალგაზრდობის ასეთი წრეები არსებობენ ამჟამად იაპონიის ყველა კუთხეებში, მაგრამ მათი მოქმედება ჯერ კიდევ სუსტია შედარებით.

მთავრობის განსაკუთრებული დეკრეტის ძალით სამხედრო მომზადება შემოღებული იქნა უმაღლეს სკოლებში.

დეკრეტის ძალით ყველა უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტები ვალდებული არიან გაიარონ სამხედრო მომზადება.

ზაფხულობით ევალებათ მონაწილეობა მიიღონ მანევრებში. პირველი ასეთი სტუდენტთა მანევრები მოხდა 1925 წლის ოქტომბერში, რომლებშიდაც მონაწილეობას ღებულობდენ უმაღლესი კომერციული სასწავლებლებიც.

მანევრებში დიდი სიხალისით მიიღეს მონაწილეობა მთავრობის ერთგულმა ელემენტებმა და მმართველმა კლასმა. აქ სავსებით დამტკიცდა სამხედრო მომზადების კლასიურობა.

სტუდენტთა და მუშების რევოლიუციონურ ორგანიზაციებმა სასტიკად გაილაშქრეს ამ მანევრების წინააღმდეგ. მანევრები ვერ ჩატარდა კარგად.

## მეცნიერება და ტეხნიკა

### რად არის მავნებელი თამბაქო.

ინგლისის ჯანმრთელობის სამინისტროს დავალებით პროფესორ კლარკიმ მოახდინა მრავალი ცდები იმის გამოსარკვევად, თუ როგორი მავნებლობა მოაქვს თამბაქოს კვამლს ადამიანის ორგანიზმისათვის. გარდა უწყინარი ნივთიერებათა მთელი რიგისა, თამბაქოს კვამლში მრავლად მოიპოება შხამიანი ნივთიერებანიც, როგორიც არის ნიკოტინი, სხვა და სხვა სიმჟავეები, ნახშირბადის ნაჟანგი და გოგირდიანი წყალბადი. თამბაქოს მავნებლობა უმთავრესად დამოკიდებულია მასში ნიკოტინისა და სიმჟავის რაოდენობაზე. სინილის სიმჟავე მოქმედებს ადამიანის ტვინის ცენტრებზე, ხოლო ნიკოტინი კი ყელზე, კუჭზე და ფილტვებზე. ნიკოტინის რაოდენობა აღწევს თამბაქოში 0,5%—5%-მდე. საუკეთესო ხარისხის თამბაქო შეიცავს ნიკოტინის 0,5—2½ პროცენტამდე. კვამლით გადადის ნიკოტინის მხოლოდ ერთი ნაწილი, ზოგიერთი ნაწილი კი იშლება თამბაქოს წვის დროს და ვერ ახდენს ადამიანზე ცუდ გავლენას.

ნიკოტინის 10% საერთოდ არ იწვის თამბაქოში, მისი ერთი ნაწილი რჩება გლარჯის მილში. ამნაირად თამბაქოს ნორმალურად წევისა და იმ შემთხვევაში თუ კვამლს ნაკლები რაოდენობით გადავყლაპავთ, ფილტვებში გადადის მხოლოდ თამბაქოში არსებულ ნიკოტინის ერთი მესამედი ნაწილი.

## ამიერ-კავკასიის სას.-სამ. გამოფენა

ამიერ-კავკასიის სას.-სამ. გამოფენის ადგილზე უკვე თავდება მთავარი პავილიონის აგება. დარჩენილია მხოლოდ სახურავი, რომელსაც გააკეთებენ გამოფენის გახსნის წინა დღეებში.

გამოფენის ადგილზე გაყვანილია გზები, ბილიკები და სხვ. იქვე ეწყობა ელექტრონის სადგური, რომელიც მისცემს სინათლეს მთელი გამოფენის ტერიტორიას, სადგურს აგებს შვეციის ფირმა „ატლას-დიზელი“. მომავალ კვირიდან შეუდგებიან გამოფენის ადგილის გამშვენიერებას და კეთილ მოწყობას.

უცხოეთიდან ყოველ დღე მოდის ცნობები ახალი ფირმებიდან გამოფენაზე მონაწილეობის მისაღებათ. ამის გამო საჭირო ხდება გამოფენაზე ახალი შენობების აგება.

## ამბები სოფლებიდან.

**ბაზრობაზე.** სიღნაღის გლეხკომებმა შუამდგომლობა აღძრეს სამაზ. აღმასკომის წინაშე მიეცეთ ნებართვა გააქირაონ სოფლების ბაზრობებზე სავაჭრო მაგიდები.

**წყალსადენების გაყვანა.** სიღნაღის აღმასკომმა დაადგინა მოახდინოს გამოძიება, ზოგიერთ სოფლებში წყალსადენების გაყვანის დაგვიანების გამო.

## ახალი ამბები.

— **ახალი ფაბრიკა.** ს. მ. უძღ. სამეურნეო საბჭო დიდუბეში ხსნის მაუდის საქსოვ ქარხანას.

— **ცემენტის მოწყობა.** ს. მ. უმაღ. სამეურნეო საბჭომ დაადგინა გახსნას ცემენტის ქარხანა და ამისთვის შეადგინა ხარჯთაღრიცხვა 10.000 მანეთის რაოდენობით.

— **საბინაო გადასახადი.** აღმასკომის საგადასახადო განყოფილების ცნობით საბინაო გადასახადი აკრეფილია ტფილისში 75 პროცენტამდე.

— **სწავლის შეწყვეტა.** შაბათიდან (3 აპრილი) ყველა საფეხურის სკოლებში შესწყდება მეცადინეობა 10 დღით.

— **26 კომუნარის ბაღის** გადახალისებაზე ამ ჟამად მუშაობს 120 კაცი.

— **საქ. სოც. უზრ. კომისარიატმა** გაუგზავნა მისალმება ყირიმის გლეხკომების ყრილობას.

## ჩვენი ფოსტა.

**სულიკოს**—თქვენი კორესპონდენცია: „ძველი ჩვეულება“ გადაეგზავნა „ახალი სოფლის“ რედაქციას.

**ა. გიოშვილს** (6 ლეგ.) თქვენი წერილი „ლენინის სიტყვა“ არ ეხება საკითხს არსებითად. არ დაიბეჭდება.

**შ. მ—ს** კორესპონდენცია ზემდეგის შესახებ გადაეგზავნა ნაწილის კომისარს.

**მინიონს** წერილი ტერშეკრების შედეგებზე არ გამოდგა, რის გამოც არ დაიბეჭდება.

**ხიდისთაველს** წერილი მეკუჭნავის შესახებ გამოდგება კედლის გაზეთისთვის.

**ხვედელიძეს** თქვენი წერილი „მნეს საყურადღებოთ“ გადაიგზავნა ნაწილში.

**სალაროს წევრს** წერილი სალაროს შესახებ გაუშვით კედლის გაზეთში.

**ა. ოდიშარიას** წერილი შვებულების შესახებ არ გამოდგა. საჭიროა უფრო კონკრეტიული მასალა.

**ქურას, ვალდანიას, შოთაძეს, იმერლიშვილს და ბიორგობიანს** თქვენი წერილები არ დაიბეჭდება. ასეთები იყო ჩვენს გაზეთში.

**ანანიას** თქვენი კორესპონდენცია დაგვიანებულია. მოიწერეთ სხვაზე.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქართულ სამხედრო პოლიტ-სკოლის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კანდიდატობიდან—კომპარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ შემდეგ ამხანაგებს: 1) ჭელიძე ალექსანდრე ნიკოლოზისძეს, (რაჭის მაზრა სოფელი ჭელიადელე) 2) ფანცულაია მაკარი სტეფანესძეს (ზუგდიდის მაზრა სოფელ კახათი.), 3) ცქიფურიშვილი მიხეილ ერმილესძეს, (ქუთაისის მაზრა სოფელი საწირი.) 4) აბზიანიძე ირაკლი ილარიონისძეს, (ქუთაისის მაზრა სოფელ პატარა ჯიხაიში.) 5) რუხაძე თედორე ილარიონისძეს, (ქუთაისის მაზრა სოფელი პატარა ჯიხაიში).

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ მათი კ. პარტიაში კანდიდატობიდან კომპარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ 7 დღის განმავლობაში შემდეგი მისამართით: ქ. ტფილისი ქართულ სამხედრო პოლიტ-სკოლის კომუჯრედში; ნინოშვილის ქუჩა (ძველი ალექსანდროვის) №2.

**დაიკარგა** კომპარტიის კანდიდატობის მანდატი №2737 გაცემული 1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონის ბიურო კოლექტივიდან კაპიტონ ყალიჩავას სახელზედ, ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ადამაძე.